



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივთილება
ქ. თბილისი



MES 4 21 0000079712



09/02/2021

ა(ა)იპ -ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1245363) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 9 ოქტომბრის №970307 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

2021 წლის 2 თებერვალს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას განსახილველად ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის 2020 წლის 31 დეკემბრის №1245363 სააპელაციო საჩივარი „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

2. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის სხდომის №76099 ოქმის №1 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

